ქ. წალენჯიხა
წელი

07 მარტი 2023

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N7

2023 წლის 07 მარტს ჩატარდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია. ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები: მანანა ჭანია, დათო მესხია, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია.

დაწყების დრო: 11:00-სთ.
დასრულების დრო: 11:10-სთ

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

პროექტის წარმომდგენი: **ვახტანგ ფიფია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიისსამხედრო აღრიცხვისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი

2.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

პროექტის წარმომდგენი: **თეა ქარჩავა.** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურის განყოფილების უფროსი (წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის ახალგაზრდულ საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ყოფილი უფროსი)

მოისმინეს 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ, მოხსენება საკრებულოს წევრებს წარუდგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსმა ვახტანგ ფიფიამ. ბოლო რამდენიმე წელია მუნიციპალიტეტი ვერ ასრულებს გეგმას, თუმცა ,სამსახურის უფროსის განმარტებით, ეს არ არის მხოლოდ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრობლემას, ეს არის მთელი ქვეყნის პრობლემა. საკრებულოს წევრის თემურ ქარდავას

კითხვაზე, რა არის მთავარი ხელისშემშლელი პრობლემა, სამსახურის უფროსმა უპასუხა, რომ არის ჯანმრთელობის პრობლემები, პარტია „გირჩის“ წევრობა, ასევე უსასყიდლოს სასაწავლებელში რიცხული მოქალაქეები, რომლებიც სკოლის დამთავრებასთან ერთად მოაქვთ ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და აგვისტომდე თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან, ჩარიცხვის შემთხვევაში კი სამხედრო სავალდებულო გასაწვევ წვევამდელთა აღრიცხვიდან მოხსნილია და ეძლევათ სტუდენტის სტატუსი. საკრებულოს წევრებმა ჩათვალეს, რომ ამ სიტუაციის გადაჭრა უფრო გლობალური საკითხია და უნდა გადაწყდეს საკანონმდებლო დონეზე.

კომისიის წევრებმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ, ანგარიში დადებითად შეაფასეს და წარმატებები უსურვეს.

მოისმინეს 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურის განყოფილების უფროსმა თეა ქარჩავამ. მომხსენებლემა აღნიშნა, რომ სამსახურს, როგორც ცნობილია, საკუთარი ბიუჯეტი არ გააჩნია, შესაბამისად, მისი საქმიანობა მოიცავს მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის მიმართულებით შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ ჩატარებული აქტივობების კოორდინაციას, ღონისძიებათა დაგეგმვასა და მომზადებაში ჩართულობას, შედეგების ანალიზსა და შეფასებას. სამსახურის უფროსმა ისაუბრა ძალიან მნიშვნელოვან ექსპედიციაზე, რომელიც ჩაატარა გერმანიის ქ.იენის უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ლესალეს ციხე-კომპლექსზე. საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალიამ აღნიშნა, რომ ამ დონის ექსპედიციის ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია ლესალეს გზის მოხრეშვა.

კომისიის წევრებმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში დადებითად შეაფასეს და წარმატებები უსურვეს.

ამით საკრებულოს კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /რაისა ჩანგელია/